განკარგულება:**გ-17. 17241179**
თარიღი:**26/04/2024**

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის „ე“ პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნატის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 36-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე

1. მიეცეს თანხმობა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერს ქ. ბორჯომში, რუსთაველის ქუჩის მიმდებარედ მდებარე 6 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (საკ. კოდი 64.23.02.317) 4 კვმ ნაკვეთის და ქ. ბორჯომში, მესხეთის ქუჩის მიმდებარედ მდებარე 688 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების (საკ. კოდი 64.23.01.189) მიწის ნაკვეთიდან 4 კვ.მ მიწის ნაკვეთების ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის (იჯარა) ფორმით, 3 (სამი) წლის ვადით გაცემასთან დაკავშირებით, დანართი №1-ის შესაბამისად (დანართი №1 თან ერთვის);
2. წინამდებარე განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული უძრავი ქონების საწყისი წლიური სარგებლობის საფასური განისაზღვროს 3000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით;
3. განკარგულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (ქ. ახალციხე მებაღიშვილის ქუჩა 60ᵃ);

დავით ზაალიშვილი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

<u>დანართი №1</u>

ქ. ბორჯომში, მესხეთის ქუჩაზე არსებული 688 კვ.მ (ს/კ 64.23.01.189) არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 4კვ.მ და ქ. ბორჯომში, რუსთაველის ქ.№115-ის მიმდებარედ არსებული 6 კვ.მ (ს/კ 64.23.02.317) არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 4 კვ.მ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართების ელექტრონული აუქციონის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის (იჯარა) ფორმით, 3 წლის ვადით გადაცემის შესახებ.

ობიექტის მისამართი	ობიექტის დასახელება	საწყისი წლიური საიჯარო ქირის საფასური (ლარში)	,,ბე"-ს თანხა (ლარში)	,,ბიჯი" (ლარში)	აუქციონის ფორმა
ქ. ბორჯომში, მესხეთის ქუჩაზე და ქ. ბორჯომში, რუსთაველის ქ.№115-ის მიმდებარედ	688 კვ.მ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ №64.23.01.189) 4 კვ.მ და 6 კვ.მ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ №64.23.02.317) 4 კვ.მ მიწის ნაკვეთი	3000.00	1500.00	150.00	ელექტრონული აუქციონი

<u>**პირობები:**</u>

1. იჯარის ვადა განისაზღვროს ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) წელი;
2. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია „იჯარის საგანი" გამოიყენოს თანამედროვე ტიპის, მსუბუქი კონსტრუქციის ჯიხურის განსათავსებლად და არ დაუშვას „იჯარის საგნის" ფუნქციის შეცვლა მეიჯარესთან წინასწარი შეთანხმების გარეშე;
3. აუქციონში გამარჯვებულს უფლება არ ააქვს იჯარის საგანი სარგებლობის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, სარგებლობის უფლებით გადასცეს (მათ შორის გააქირაოს, იჯარის, თხოვების ფორმით გასცეს) იპოთეკით ან სხვა რაიმე ფორმით დატვირთოს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან წინასწარი შეთანხმების გარეშე;
4. აუქციონზე, ვაჭრობის შედეგად საწყისი საიჯარო ფასის 100%-ით და მეტი თანხით მატების შემთხვევაში, გამარჯვებული ვალდებულია საბოლოო თანხაზე წარმოადგინოს საბანკო გარანტია, ან სრულად დაფაროს თანხა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებამდე;
5. აუქციონზე გამარჯვებულს გადახდილი ბე/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია ეთვლება სარგებლობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ვადის ბოლო წლის ბოლო თვეების ანგარიშსწორებისას;
6. საწყისი თანხა 3000 ლარი შეადგენს ერთი წლის სარგებლობაში გადაცემის საფასურს;
7. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის დასრულებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან გააფორმოს იჯარის ხელშეკრულება;